



**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**დადგენილება №13**

**2019 წლის 12 მარტი**

**ქ. ზუგდიდი**

**„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“  
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 1 თებერვლის №7  
დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.**

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 1 თებერვლის №7 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) 07/02/2019, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.105.016495) შეტანილ იქნას ცვლილება და ამოღებულ იქნას დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.

**მუხლი 2.**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



მამუკა წოწერია